საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ბრძანება N 107

ქ. თბილისი

03/04/2018

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეებს შორის საკურატორო სფეროების გადანაწილების, უფლებამოსილების განსაზღვრისა და მონაცვლეობის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სასხელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) თავმჯდომარის **ირაკლი ქარსელაძის** უშუალო საკურატორო სფეროში განისაზღვროს:

ა) დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოები;

ბ) იურიდიული სამსახური;

გ) საგზაო მოძრაობის რეგულირების სამსახური.

2. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის **ნუგზარ გასვიანის** უშუალო საკურატორო სფეროში განისაზღვროს:

ა) საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამსახური;

ბ) საგზაო მოძრაობის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების სამსახური;

გ) საავტომობილო გზების საინჟინრო-ტექნიკური სამსახური;

დ) დასავლეთ საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტების მართვის სამსახური;

ე) ნაპირდაცვის სამსახური;

ვ) საავტომობილო გზების მიმდინარე და პერიოდული შეკეთების სამუშაოების კონტროლისა და მონიტორინგის სამსახური;

ზ) სარეაბილიტაციო პროექტების მართვის სამსახური;

თ) გარემოს დაცვის სამსახური.

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

3. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის, **ალექსანდრე თევდორაძის** უშუალო საკურატორო სფეროში განისაზღვროს:

ა) ფინანსების მართვის სამსახური;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სამსახური;

გ) საერთაშორისო შესყიდვებისა და დონორებთან ანგარიშგების სამსახური;

დ) განსახლების სამსახური;

ე) ადმინისტრაციული სამსახური;

ვ) ლოჯისტიკის სამსახური.

4. დეპარტამენტის თავჯდომარის მოადგილის **ლევან კუპატაშვილის** უშუალო საკურატორო სფეროში განისაზღვროს:

ა) ტექნიკური სამდივნოს დირექცია;

ბ) აღმოსავლეთ საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტების მართვის სამსახური.

5. დეპარტამენტის თავმჯდომარის დროებით არყოფნის, ან მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, დეპარტამენტის თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახორციელებს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე **ნუგზარ გასვიანი**. დეპარტამენტის თავმჯდომარისა და დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის **ნუგზარ გასვიანის** ერთდროულად არყოფნის ან მათ მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, დეპარტამენტის თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახორციელებს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე **ალექსანდრე თევდორაძე.**

6. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეთა მონაცვლეობის წესი და უფლებამოსილება განისაზღვროს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის **ნუგზარ გასვიანის** არყოფნის შემთხვევაში, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილება განახორციელოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ **ალექსანდრე თევდორაძემ;**

ბ) დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის, **ალექსანდრე თევდორაძის** არყოფნის შემთხვევაში, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილება განახორციელოს დეპარტამენის თავმჯდომარის მოადგილემ **ლევან კუპატაშვილმა;**

დ) დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის **ლევან კუპატაშვილის** არყოფნის შემთხვევაში, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილება განახორციელოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ **ნუგზარ გასვიანმა.**

7. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს **ალექსანდრე თევდორაძეს** მიენიჭოს, დეპარტამენტის სახელით ნებისმიერი სახის ხელშეკრულებების, ასევე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით გასაფორმებელი ხელშეკრულებების გაფორმების (ხელის მოწერა), კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის (ხელმოწერის განხორციელება) და საჭიროების შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელშეკრულების შეწყვეტის, დანართის-შეთანხმების გზით გაფორმების (ხელმოწერის განხორციელება), მათ შორის ხელშეკრულების ვადამდე ცალმხრივად შეწყვეტის გაფორმების (წერილობითი ფორმა) უფლებამოსილება.

8. ამ ბრძანების მე-9 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების, მათ შორის ხელშეკრულებების ვიზირებას, დეპარტამენტის საჯარო მოხელეებთან ერთად, საკურატორო სფეროების მიხედვით ახორციელებენ დეპარტამენტის თავმჯდომარის შესაბამისი მოადგილე/მოადგილეები.

9. დეპარტამენტის თავმჯდომარემ და დეპარტამენტის თავმჯდომარის შესაბამისმა მოადგილეებმა განახორციელონ მათ საკურატორო სფეროს მიკუთვნებული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და დონორი ორგანიზაციების მიერ

დაფინანსებული პროექტების ან/და მათი დაფინანსების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების განხორციელების კოორდინაცია. ამ შემთხვევაში დეპარტამენტის თავმჯდომარის შესაბამის მოადგილეს ენიჭება შესაბამის დოკუმენტაციაზე, გარდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულებების/შეთანხმებების, ხელმოწერის უფლებამოსილება.

10. დეპარტამენტის თავმჯდომარის შესაბამისმა მოადგილეებმა უზრუნველყონ მათ უშუალო საკურატორო სფეროში განსაზღვრული დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი, დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

11. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეები ანგარიშვალდებულნი არიან დეპარტამენტის თავმჯდომარის წინაშე მათ დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობაზე.

12. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილე-ტექნიკური მდივანსა და თავმჯდომარის მოადგილეებს შორის საკურატორო სფეროების გადანაწილების, უფლებამოსილების განსაზღვრისა და მონაცვლეობის წესის დამტკიცების შესახებ“ დეპარტამენტის თავმჯდომარის 2018 წლის 18 იანვრის №30 ბრძანება.

13. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

ირაკლი ქარსელაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარე